2014 წელი, 27 მარტი – 2 აპრილი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№12 (646) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

„არ ვფიქრობ, რომ კარგი მასწავლებელი ვიყავი, ორ წელში ამას ვერც შევძლებდი, უბრალოდ, ზუსტად მივხვდი, რას ნიშნავს იყო კარგი მასწავლებელი.“

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, ბავშვების (განსაკუთრებით გოგონების) ერთ-ერთი საყვარელი გასართობი „მასწავლებლობანას“ თამაში ერთგვარად იმის მაჩვენებელიც იყო, რომ ბავშვებში ეს პროფესია პოპულარობით სარგებლობდა. ბოლო 20-25 წელია, ნელ-ნელა, ეს თამაში ჩვენი რეალობიდან გაქრა და დღეს არც „მასწავლებლობანას“ თამაშობენ და აღარც მასწავლებლობაზე ოცნებობენ. სამწუხაროდ, ეს პროფესია ჩრდილში მოექცა და არაპრესტიჟული გახდა. მიზეზთა კვლევა, ალბათ, შორს წაგვიყვანდა და ერთი საგაზეთო წერილი არც ეყოფოდა, პრობლემა გაცილებით სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.

დღეს შემოგთავაზებთ ჩვენი რედაქციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. თბილისის საჯარო სკოლების 200 მეთორმეტეკლასელს მივმართეთ შეკითხვით – *აირჩევთ თუ არა პედაგოგის პროფესიას?* დადებითი პასუხი მხოლოდ 7-მა გამოკითხულმა (5 გოგონა, 2 ბიჭი,) გასცა, უარყოფითი – 193-მა.

მათ, ვინც დადებითი პასუხი გასცა, დამატებით შეკითხვაზე უნდა ეპასუხათ – რომელი საგნის პედაგოგობას ისურვებდნენ? 4-მა გამოკითხულმა ქართული ენა და ლიტერატურა დაასახელა, ერთმა – ბიოლოგია, ერთმა – ქიმია ან რუსული, ერთმა – ინგლისური ენის ფილოლოგია (მხოლოდ უმაღლეს სკოლაში).

ფაქტია, რომ დღეს მასწავლებლის პროფესია დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები მუშაობას სხვა პროფესიით ამჯობინებენ, ასეთი ტენდენციის გაგრძელება კი სერიოზულ პრობლემას შეუქმნის ქვეყანას მასწავლებელთა კადრების დეფიციტის თვალსაზრისით. არადა, მასწავლებელს ძალიან დიდი როლი და მისია აკისრია ქვეყნის მომავლის შექმნაში. როგორ გავხადოთ მასწავლებლის პროფესია პოპულარული ახალგაზრდებში? ამისთვის ძალიან ბევრი ფაქტორია ასამოქმედებელი, თუმცა, გარკვეულწილად, პროპაგანდას ძალიან დიდი ძალა აქვს. ჩვენი გაზეთის მკითხველი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებითაა დაინტერესებული, მათ შორის გარკვეული ნაწილი უჭირავთ ახალგაზრდებს, აბიტურიენტებს, ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩვენი რუბრიკა – პროფესია პედაგოგი – დავუთმოთ ახალგაზრდა მასწავლებლებს, რაც სწორედ პედაგოგის პროფესიის პოპულარიზებას შეუწყობს ხელს. რუბრიკას ერთი საოცარი ახალგაზრდის, 23 წლის მასწავლებლის, **შუქია არაბულის** ინტერვიუთი ვხსნით, რომელიც ხევსურ ბავშვებს ბარისახოს სკოლაში ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის (ბარისახოს სკოლაში პირაქეთა ხევსურეთის 10-ზე მეტი სოფლის ბავშვი სწავლობს), ახალგაზრდა გოგონამ ყველაფერი გვერდზე გადადო, რაც მის თანატოლებს ასე იზიდავთ ქალაქში და ბარისახოს სკოლაში ხევსურ ბავშვებთან წასვლა არჩია. მისი მოწოდებები საუკეთესო მაგალითად შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი ახალგაზრდისთვის, რომელიც მასწავლებლობას პროფესიად აირჩევს. შუქია არაბული თავის „ერთ წუთს“ ერთ-ერთ ტელეკომპანიაზე, სწორედ ბარისახოს სკოლას უთმობს და მოუწოდებს თანატოლებს, ჩავიდნენ იქ და ასწავლონ – ჩვენი სკოლა განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველას ინიციატივით დაარსდა, მისი ძმა აქტიური მასწავლებელი იყო და სკოლამ ძალიან ბევრი საინტერესო თაობა გამოუშვა. სამწუხაროდ, თანდათან მცირდება მოსწავლეების და მასწავლებლების რიცხვი. ძალიან გვიჭირს მასწავლებლების შოვნა და მინდა ახალგაზრდა მოხალისეებს შევთავაზო, მათ, ვინც ინგლისური იცის ან სხვა საგანი, მოვიდნენ ჩვენთან მასწავლებლად – ანაზღაურება იქნება ისეთივე, როგორც სხვაგან, მხოლოდ პირობები იქნება განსხვავებული, აქ ზამთარი გაცილებით მკაცრი იცის, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ეს ნამდვილად არ წარმოადგენს საშიშროებას. იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია შეგიქმნათ პირობები, თუ თქვენ ჩვენს ბაშვებს ასწავლით და მათ გაკვეთილებს ჩაუტარებთ – ასე მოუწოდებს ის ვიდეორგოლით თანატოლებს. შუქია, დროებით, აღარ ასწავლის, რადგან მაგისტრატურაში ჩასაბარებლად ემზადება.

პორტრეტი

– რა ფერით დავხატო ჩემი თავი?
– მას, თქვენ ყველაზე კარგი ფერი ხართ.
– რომელი?
– ლურჯი.

ეს შუქია არაბულის პორტრეტია, რომელიც თავის მოსწავლეებთან ერთად დახატა, შემოქმედებითი პორტრეტი კი ვეცადეთ მისი ჩანაწერით წარმოგიდგინოთ.

გვერდი 8–9

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში (CTC), 2013 წლის ანგარიშის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, სსიპ-ების ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ცენტრის მიერ გამოცემული პუბლიკაცია ორი ნაწილისგან შედგება – ანგარიშის პირველი ნაწილი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013 წლის საქმიანობას და ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ეხება; დოკუმენტის მეორე ნაწილში წარმოდგენილია 2011-2013 წლების მიმოხილვა და ანალიზი – ცენტრის ფუნქციების/საქმიანობის და მართვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა; საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მექანიზმების ანალიზი; ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა; სტუდენტთა მობილობის პროცესის ანალიზი და ინფორმაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების განაწილებასთან დაკავშირებით.

ცენტრის დირექტორმა, **ელენე ჯიბლაძემ**, მოწვეულ სტუმრებს ცენტრის მუშაობის პრინციპები გააცნო და 2013 წლის შედეგები წარუდგინა. ანგარიშთან ერთად, ვრცლად ისაუბრა 2011-2013 წლებში, ცენტრის მიერ, განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებებით განხოციელებული საქმიანობის შესახებ.

გვერდი 3–4

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის

განცხადება

კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და შ.პ.ს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების IX თავის საფუძველზე – 2014 წლის 27 მარტიდან სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში ცხადდება ღია კონკურსი პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი დარგების/მიმართულებების მიხედვით:

1. აგრარული მიმართულება – ასოცირებული პროფესორის ხუთი ვაკანსია;
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება, მათემატიკის დარგში – ასოცირებული პროფესორის ერთი ვაკანსია;
3. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება – ასოცირებული პროფესორის ორი ვაკანსია;
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება – ასოცირებული პროფესორის ერთი ვაკანსია

აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმები

ძირითადი კრიტერიუმები:
ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
გ) შესაბამისი მიმართულებისათვის აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები.

საკონკურსო მოთხოვნები

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
ა აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
გ აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – კონკურსანტის მიერ არჩეული შესაბამისი დარგის თემატიკით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული არანაკლებ ორი სამეცნიერო ნაშრომი/პუბლიკაციები.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – კონკურსანტის მიერ არჩეული შესაბამისი დარგის თემატიკით – უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შესრულებული, არანაკლებ, ერთი სამეცნიერო ნაშრომი/პუბლიკაციები.

საკონკურსო დოკუმენტაცია:
აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღების პერიოდად განისაზღვროს ვადა 2014 წლის 28 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 14 მაისს. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2014 წლის 15 მაისს.

საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში დილის 10 საათიდან 17 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართებზე:
ა) ქ. გორი, ცხინვალის გზ. №9
ბ) ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.№9ა

საბუთების ელექტრონული მიღება იწარმოებს ელექტრონული ფოსტის – sukhishvili.university@yahoo.com მეშვეობით.

ვადის ან მოთხოვნილი პირობების დარღვევით წარდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
კონკურსის შედეგები, დაინტერესებული პირის მიერ,ს შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში – გორის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გორი, ჯორგენაძის №30.

საკონკურსო კომისიის სამდივნოს საკონტაქტო რეკვიზიტები:
ა) ქ. გორი, ტელ: (0 (370) 27 05 57
ბ) ქ. თბილისი. ტელ: 0 32 2 51 94 95
შ.პ.ს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის“ საკონკურსო კომისია

დავითიანნთან არსებული ლიტერატურული კლუბი „დალკი“ აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს „მინერვა 2014“ თემაზე „ვერდამდგარი გაზაფხულები“

კონკურსის მიზანი: ახალგაზრდა თაობაში ლიტერატურისადმი მაღალი ინტერესის გაჩენა და თანამედროვე მხატვრული პროზის განვითარება. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს.
კონკურსის პირობები: კონკურსის მონაწილეებმა არა უმეტეს ერთ გვერდზე (A4 ფორმატი, Sylfaen 12, ინტერვალი 1) მოთხრობა, ესე, ჩანახატი, წერილი უნდა გამოგზავნონ ელექტრონულ მისამართზე – dalkilitklubi@gmail.com
ძირითადი მოთხოვნა: საკონკურსო ნაწარმოები პირდაპირ ან ირიბად უნდა ეხებოდეს საკონკურსო თემის სათაურს – „ვერდამდგარი გაზაფხულები“, პრივილიგირებული იქნება მხატვრული ნაწარმოები. მონაწილეებს შეუძლიათ ორიგინალურად გაიაზრონ საკონკურსო თემა.
ნაწარმოები განთავსდება „დავითიანთან არსებული ლიტერატურული კლუბი – დალკი“-ს ე.წ. „ნოუთებში“. მიიღება გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები.
გამარჯვებულად გამოცხადდება სამი ნაწარმოები:
1. რომელსაც Facebook-ში „დალკი“-ს გვერდზე ყველაზე მეტი მოწონება ექნება;
2. გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის რჩეული;
3. „დალკის“ რჩეული ნაწარმოები.
კონკურსის ჩატარების ვადა: 19 მარტი – 11 აპრილი. ნაწარმოებების მიღება შეწყდება 7 აპრილს 12 საათზე. მოწონებული ნაწარმოებები „დალკის“ ფეისბუქის გვერდზე განთავსდება 20 მარტიდან, სამუშაო დღეებში.
გამარჯვებულის გამოცხადების ადგილი და დრო: დავითიანნი (რუსთაველის 23, მესამე სართული) 18:00 საათი, 11 აპრილი, 2014 წელი. გამარჯვებულებს გადაეცემა ჯილდო დალკის ლოგოთი და ფასიანი პრიზები, მონაწილეები მიიღებენ სიგელს. გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის რჩეული ნაწარმოები დაიბეჭდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

სამივე გამარჯვებულს ჩაწერს ინტერნეტ ტელევიზია STV

გისურვებთ წარმატებებს!

თბილისის №26 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ისტორიის პედაგოგი

ბონდო მოსიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

იურისტის კონსულტაცია

დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებული კითხვა-პასუხი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №87/ნ ბრძანების (დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი) შესაბამისად.

რა შემთხვევაში ენიშნება დასაქმებულს დროებითი შრომისუუნაროგის გამო დახმარება?
დასაქმებულს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება ენიშნება შემდეგ შემთხვევებში:
– დაავადებით ან დასახიჩრებით გამოწვეული შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში;
– ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის გამო;
– კარანტინის გამო;
– პროთეზირების გამო.

როგორ ხდება დროებითი შრომისუუნაროგის გამო დახმარების გაცემა?
დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების მისაღებად დასაქმებული წარუდგენს დამსაქმებელს საავადმყოფო ფურცელს. დამსაქმებელი ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება, ან წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს დასაქმებულს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

როგორ ხდება დროებითი შრომისუუნაროგის პერიოდის ანაზღაურება შვებულებაში ყოფნის პერიოდში?
შვებულებაში ყოფნის დროს დროებითი შრომისუუნარობის დაწყების შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება გაიცემა დროებითი შრომისუუნარობის მთელ პერიოდზე, ამ შემთხვევაში, შვებულების დღეები გადაიწევს საავადმყოფო ფურცელში მითითებული დღეების რაოდენობით.

რა შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს დროებითი შრომისუუნაროგის გამო დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი?
დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება არ მიეცემათ:
– პირებს, რომლებმაც ტრავმა მიიღეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს ან განზრახ აყენებენ ზიანს თავიანთ ჯანმრთელობას;
– მკურნალი ექიმის მიერ დაწესებული რეჟიმის დარღვევისას;
– თუ დროებითი შრომისუუნარობა გამოწვეულია დაავადებით ან ტრავმით, რომლის უშუალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა (ალკოჰოლური, ნარკოტიკული და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებით თრობა);
– კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან ჩამოშორების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე ყოფნის დროს.
დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება არ გაიცემა, ასევე დამსაქმებლისათვის საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარდგენის შემთხვევაში.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

პრეზენტაცია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში

პირველი გვერდიდან

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**, ასეთი პრეცედენტი – განათლების სისტემის ერთ-ერთი სტრუქტურა, საზოგადოებას გაწეული სამუშაოს ანგარიშს რომ აბარებს, დადებითად შეაფასა და სურვილი გამოთქვა, ანგარიშის ჩაბარების ასეთი სისტემა ტრადიციად იქცეს, რადგან მას ბევრი დადებითი მხარე აქვს: *„მნიშვნელოვანია თავად ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოც და ის ანგარიშიც, რომელსაც დღეს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს. მას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს: ერთი – კონკრეტული ანალიზი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მომავლის დაგეგმვისთვის, თუ გვინდა, რომ მართლაც რეალურ შედეგებზე გავიდეთ; მეორე – ამით ორგანიზაციას, სტრუქტურას, ფაქტობრივად, ეზრდება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. და კიდევ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აქ დამსწრეთა მხრიდან წამოსული რეკომენდაციები და შენიშვნები აუცილებლად გათვალისწინებული იქნება მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას, რასაც შეიძლება უკვე პრაქტიკული შედეგები მოჰყვეს. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც მოამზადა ანგარიში და დღეს სრულყოფილად წარმოგვიდგინა. სასურველია, ის შედეგი, რაც ამ შეხვედრას მოჰყვება, სხვებსაც გაუზიაროთ, რათა ყველამ ერთად ვიზრუნოთ ზოგადი განათლებისა თუ მთლიანად განათლების სისტემის განვითარებაზე.“*

ცენტრის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების დახვეწის მიმართულებით და განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. 2013 წელს, ცენტრის ინიციატივით, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო დაიყო ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო საბჭოებად. თუ 2013 წლამდე გადაწყვეტილებას ერთი საბჭო იღებდა, 2013 წლის მარტში ეს შეიცვალა და დღეს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ავტორიზაციის საბჭო იღებს. ამ გზით გაიზარდა საბჭოში დაინტერესებული მხარეების რეპრეზენტატულობა, განათლების შესაბამისი დონეების მიხედვით და საბჭოს კომპეტენციის დონე.

გასულ წელს ხარისხის განვითარებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად ცენტრი სწორედ ავტორიზაციის საბჭოს დაყოფას მიიჩნევს.

საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის ზრდის მიზნით, დაინერგა საბჭოს წევრთა შერჩევის ახალი, თანამონაწილეობის პრაქტიკა. ცენტრმა საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესში ჩართო საგანმანათლებლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ანგარიშში წარმოდგენილი 2013 წლის ავტორიზაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიაგრამის მიხედვით, გადაწყვეტილებების 70 პროცენტი დადებითია. 2010 წლამდე ინსტიტუციური აკრედიტაცია მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის იყო სავალდებულო, ამჟამად ავტორიზაციის მოპოვება განათლების სამივე დონეს შეეხო და სავალდებულო გახდა ზოგადსაგანმანათლებლო (კერძო), პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ავტორიზაციის მისაღებად საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ სტანდარტებს – საგანმანათლებლო პროგრამები; მატერიალური რესურსები; ადამიანური რესურსები. სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია 5 წლის ვადით ენიჭება, ამასთან, განათლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენენ.

2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 67 უმაღლესი და 91 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 28 უნივერსიტეტი, 27 სასწავლო უნივერსიტეტი და 12 კოლეჯია, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის – 44 საზოგადოებრივი და 47 პროფესიული კოლეჯი. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, დღეისათვის, ქვეყანაში სულ 2332 სკოლაა, მათ შორის 2085 საჯარო და 247 კერძო. ამ ეტაპზე, ავტორიზაცია ეხება მხოლოდ კერძო სკოლებს და, აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის პროცესმა ყველაზე მეტად კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაზე იქონია გავლენა. მათი რიცხვი, 2010-2011 წლებში, 40%-ით შემცირდა, რადგან სკოლებმა ვერ შეძლეს ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება და გაუუქმდათ ავტორიზაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, 2011 წელს, 11%-ით შემცირდა, 2012 წლის ბოლოსთვის კი მნიშვნელოვნად გაიზარდა (40%-ით). ამის მიზეზი იყო ის, რომ პროფესიული პროგრამები გამოეყო ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ცალკე პროფესიულ სასწავლებლად ჩამოყალიბდა ან უსდ-ები საზოგადოებრივ კოლეჯებად გადაკეთდნენ. ასევე შეიქმნა ახალი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯები.

2010-2011 წლებში უსდ-ების რაოდენობა 71-დან 57-მდე შემცირდა. ამას სამი ძირითადი მიზეზი აქვს: უსდ-ებისთვის ავტორიზაციის გაუქმება, რეორგანიზაციის გზით საგანმანათლებლო დაწესებულებების შეერთება და საზოგადოებრივ ან პროფესიულ კოლეჯებად გარდაქმნა.

დღეისათვის, 67 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 48-ს გავლილი აქვს ავტორიზაცია.

2011-2013 წლებში ავტორიზაცია გაუუქმდა 4 უმაღლეს, 41 პროფესიულ და 166 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი 2004 წლიდან მიმდინარეობდა და მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხებოდა, ავტორიზაციის პროცესის დაწყების შედეგად, 2011-2013 წლებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით მიღებული ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილებები (4,7%) შედარებით ნაკლები იყო პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით მიღებულ გაუქმების გადაწყვეტილებებზე (25% და 21%).

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის მონაცემებს, 2011-2013 წლებში ავტორიზაციაზე უარი ეთქვა 15 უმაღლეს, 23 პროფესიულ და 50 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. მათმა უმრავლესობამ, გაანცხადის ხელახალი წარდგენის შედეგად, მოიპოვა ავტორიზაცია (54%და 61%). ავტორიზაციის გაუქმების შემდეგ, ავტორიზაციის ხელახლა მოპოვების მაჩვენებელი, სკოლების შემთხვევაში – 1%, პროფესიული დაწესებულებების შემთხვევაში კი – 5%.

განათლების ხარისხის გარე მექანიზმების მეორე მნიშვნელოვანი საკითხი საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციაა, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას აკრედიტაციის საბჭო იღებს. 2013 წლის 25 ივლისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის №148 ბრძანებით, დამტკიცდა აკრედიტაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეირჩა და ავტორიზაციის საბჭოების შერჩევის ანალოგიურად ჩატარდა. გასულ წელს აკრედიტაციის საბჭომ სულ 215 გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის, 187 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. 2013 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების მონაცემების მიხედვით, საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის მაჩვენებელი ყველაზე მეტია და თითქმის ერთმანეთის ტოლია – 61 და 60.

განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფორმირებისა და მათი შემდგომი სრულყოფის მიზნით, ცენტრმა არაერთი საინტერესო ღონისძიება გაატარა. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩო კვალიფიკაციათა ნუსხას დაემატა 25 კვალიფიკაცია, მათ შორის, 4 დარგი/სპეციალობა, 16 ქვედარგი/სპეციალიზაცია, 4 პროფესიული სპეციალიზაცია, შეიცვალა 6 კვალიფიკაცია. ზოგადად გაუმჯობესდა კვალიფიკაციის დამატების, შეცვლისა და ამოღების წესი. აქამდე არსებული რეგულაციებით, კვალიფიკაციის დამატება და ამ კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იყო სააკრედიტაციო/საავტორიზაციო განაცხადში ან თვითშეფასების ანგარიშში ახალი კვალიფიკაციის მითითების საფუძველზე, ცენტრის თანხმობის მიღების შედეგად. პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროგრამის განხორციელებამდე მიზანშეწონილია შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობა. ახალი რეგულაციით დაინტერესებულ მხარეს დაეკისრება ვალდებულება, დაასაბუთოს ამა თუ იმ კვალიფიკაციის დამატების /შეცვლის/ამოღების მიზანშეწონილობა. აღნიშნული პროცედურა წელიწადში ორჯერ განხორციელდება და საქმის წარმოების ვადა 6 თვე იქნება.

ცენტრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფესიული განათლების განვითარებაში და წარმატებით განხორციელდა „პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითარების“ პროექტი, რომელიც 2014 წელსაც გაგრძელდება. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითარებას, რომლის მიზანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში, პროფესიული სტანდარტების განახლების მიზნით, 500-მდე მსხვილ, საშუალო და მცირე ორგანიზაციასთან კომუნიკაციის შედეგად, განხორციელდა კონკრეტული პროფესიებისათვის სამუშაოთა ჩამონათვალის და სამუშაო აღწერილობის იდენტიფიცირება; DACUM მეთოდოლოგიის (რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიას კონკრეტული სამუშაოს/პროფესიის ფუნქციური ანალიზის საფუძველზე) გამოყენებასა და მოდულური კურიკულუმის შემუშავებაში გადამზადდა 500-მდე ადამიანი.

განათლების ხარისხის ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემთა საფუძველზე დაყრდნობით, ახორციელებს სტუდენტთა მობილობას. მობილობის პროცესი გასულ წელს ორჯერ – შემოდგომასა და გაზაფხულზე – განხორციელდა და მობილობის უფლება 4968-მა სტუდენტმა მოიპოვა. ანგარიშში წარმოდგენილი დიაგრამის მიხედვით, საშემოდგომო მობილობაში 3-ჯერ მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემთა საფუძველზე, ამოწმებს სტუდენტთა მონაცემებს და შემდეგ, მათი დაფინანსების (სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტები, სოციალური პროგრამების ფარგლებში დაფინანსება, ოკუპირებულ და საზღვრისპირა სოფლებში განათლებამიღებული სტუდენტების დაფინანსება, იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც სტუდენტობის პერიოდში გაიარეს სამხედრო სავალდებულო სამსახური) მიზნით, გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შესაბამის დაწესებულებებს. 2013 წლის განმავლობაში ცენტრმა 79239 სტუდენტის მონაცემები დაამუშავა.

ცენტრის კომპეტენციაა საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარება, განათლების ნამდვილობის დადასტურება, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილი. აქვე გეტყვით, რომ 2013 წელს, ცენტრში, ოფიციალური საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მოთხოვნით, 4931 განაცხადი შევიდა, 73 ქვეყანაში საგანმანათლებლო დოკუმენტების გამოყენების მიზნით, აქედან ყველაზე მეტი განკუთვნილი იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და აშშ-ში წარსადგენად (გერმანია – 14%, აშშ – 11%).

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინტერნაციონალიზაციის მხრივ. ბოლონიის პროცესის განვითარების ძირითად სტრუქტურას წარმოადგენს ბოლონიის პროცესის განმახორციელებელი ჯგუფი BFUG, რომლის თავმჯდომარეობა, ექვს თვეში ერთხელ, როტაციული სისტემით იცვლება და მას ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოები თანათავმჯდომარეობენ. 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, საქართველო, ლიტვის რესპუბლიკასთან ერთად, BFUG-ის თანათავმჯდომარე ქვეყანა იყო. განათლებისა და მეც-

→ 4

პრეზენტაცია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში

მესამე გვერდიდან

ნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 16-17 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიმართა BFUG-ის საბჭოს მორიგი შეხვედრა. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა, საქართველოს თანათავმჯდომარეობის ფარგლებში, გასულ წელს, ჩაატარა კონფერენცია თემაზე – „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ხედვა“, რომლის მიზანი იყო ბოლონიის პროცესის მოთხოვნების ხელახალი დეკლარირება და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ევროპის საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება.

გასულ წელს ცენტრისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის – ENQA – აფილირებული ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების მიმართულებით. ENQA-ს სრული წევრობის მოსაპოვებლად, ცენტრი აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს დაუთმობს მიმდინარე წელს. ENQA-ში გაწევრიანების შედეგად გაიზრდება ცენტრის საქმიანობისა და საქართველოში მიღებული განათლების მიმართ ნდობა, რაც გაამარტივებს განათლების აღიარების პროცესს და სტუდენტებისა და პროფესორების მობილობას ევროპის მასშტაბით. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის გამოსვლის კიდევ ერთი ხელშემწყობი მოვლენაა განათლების აღიარების ევროპულ საინფორმაციო ქსელში – ENIC-NARIC-ში საქართველოს ჩართვა 2006 წლიდან. 2010 წლიდან ცენტრი ENIC-NARIC-ის წარმომადგენელი გახდა საქართველოში, 2012 წლიდან კი ჩართულია დიდი ბრიტანეთის ინიციატივით განხორციელებულ პროექტში – „ENIC-ის შესაძლებლობების განვითარება“, რომლის მიზანია საგანმანათლებლო დოკუმენტების აკადემიური აღიარებისა და შეფასების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და დახვენა, საერთაშორისო საგანმანათლებლო დოკუმენტების შეფასებისას სწავლის შედეგებზე მეტი აქცენტის გაკეთება, განათლების სისტემებისა და კვალიფიკაციების შესახებ იფნორმაციის გაცვლა.

ასეთ დეტალურ ინფორმაციას იძლევა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიში, რომლის მისიას წარმოადგენს: *„განათლების ხარისხის კონცეფციის მუდმივი განახლება; სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა“.*

რაც შეეხება შეხვედრის მთავარ მიზანს, ქალბატონმა **ელენე ჯიბლაძემ** გვითხრა: *„ჩვენ გვინდა დავნერგოთ საზოგადოებასთან ანგარიშგების ასეთი ფორმა. მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, რას აკეთებს ცენტრი, იმდენად, რამდენადაც, მოგეხსენებათ, მისი ბიუჯეტის ნაწილი სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტია – ანუ მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხა. ამიტომ ეს აუცილებელია. ანალიტიკური ნაწილი, რაც დღევანდელ შეხვედრას დაეთმო, მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს – უმაღლესებისთვის, შეიძლება პოლიტიკოსებისთვისაც საინტერესო იყოს, ასევე, სხვა სისტემების წარმომადგენლებისთვის.*

რისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია? ერთ-ერთი მთავარი ჩვენი ცენტრისთვის არის მივყვეთ სტრატეგიულ გეგმას, რომელიც შევიმუშავეთ, ამაში კი მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიმართულებები. ეს ხალხიც დღეს სწორედ იმიტომ მოვიწვიეთ, რომ იცოდნენ იმ სიახლეების შესახებ, რაც წელს განხორციელდება. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიმართულებით და მათთან ერთად უნდა დამუშავდეს სტანდარტები, ის მექანიზმი, თუ როგორ მოხდება უმაღლესების, კოლეჯების, სკოლების შეფასება და შემდეგ როგორი ტიპის გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს საბჭომ; საკმარისია თუ არა მხოლოდ ავტორიზაციის მინიჭება ან ავტორიზაციის გაუქმება და ავტორიზაციაზე უარის თქმა. მაგალითად, საჭიროა, თუ არა, ე.წ. პირობითი ავტორიზაცია, რათა არ დადგეს სტუდენტების გადანაწილების პრობლემა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, დგება ხოლმე. აუცილებელია, მაგალითად, უმაღლესებს მივცეთ საშუალება, თუკი დავადგენთ ხარვეზებს, იმუშაონ მათ გამოსწორებაზე და გვიჩვენონ, რომ გამოასწორეს ან შეუძლიათ გამოსწორება, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საბჭო სერიოზულ გადაწყვეტილებას. ჩვენ უნდა გადავიდეთ განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების მექანიზმის გამოყენებაზე. ეს არის მთელი კონცეფცია, რომელზეც უნდა ვიმუშაოთ უმაღლესებთან და კოლეჯებთან ერთად. რაც შეეხება ვადებს, თუ რა პერიოდში უნდა აღმოფხვრან მათ ხარვეზები, ამის დასადგენად გვეყოლება ექსპერტები, რომლებიც ვადის განსაზღვრაში დაგვეხმარებიან, რადგანაც სხვადასხვა ტიპის ხარვეზს სხვადასხვა დრო, ვადა სჭირდება გამოსასწორებლად. მაგალითად, ახლა საუბარია იმაზე, რომ მაქსიმალური დრო, რაც უმაღლესმა შეიძლება გამოიყენოს, 2 კვირაა, რასაც, ცხადია, უმაღლესი სასწავლებლები აპროტესტებენ. ამაზე აუცილებლად ვიმუშავებთ და ვიმსჯელებთ, რა ვადა უნდა მიეცეთ – სამი თვე, ექვსი თვე, ერთი წელი...

მოგეხსენებათ, ავტორიზაცია ყველა უმაღლეს სასწავლებელს უნდა ჰქონდეს, ანუ ხუთ წელიწადში ერთხელ აუცილებლად უნდა გაიარონ შეფასება. თუკი რაიმე არაორდინარული ხდება ამ ხუთი წლის განმავლობაში (ჩვენთან ყოველწლიურად შემოაქვთ თვითშეფასების ანგარიში), ასეთ შემთხვევაში ხდება მათი შემოწმება. 2013 წელი ცენტრის ორგანიზაციული განვითარების პლატფორმის შექმნას დაეთმო, 2014 წლის პრიორიტეტი კი ცენტრის საქმიანობის შინაარსობრივი ცვლილებები იქნება. ვიმუშავებთ შედეგებზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე“.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ანგარიში ცენტრის მიერ დღემდე გაწეული სამუშაოს ანალიტიკური მიმოხილვაა, რომელიც ძალიან ბევრ ინფორმაციას იძლევა ყველა იმ პრიორიტეტულ საკითხზე, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწალების ხარისხის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

დაბოლოს, ანგარიშში ყურადღება მიიქცია ინფორმაციამ ცენტრში დანერგილი ყოველკვირეული შეხვედრების შესახებ – ხელმძღვანელობისა და სამსახურის უფროსების ყოველკვირეული შეხვედრების ახალი ფორმატი მათ საშუალებას აძლევთ, განიხილონ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები, მიღწეული შედეგები და გეგმები. *„შეხვედრები ხელს უწყობს სამსახურებს შორის ანგარიშვალდებულებისა და კოორდინაციის ხარისხის ზრდას, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, რაც მიმდინარე საქმიანობის შეფასების, პრობლემების გამოვლენისა და გაუმჯობესების საშუალებას იძლევა“.* სწორედ ასეთი საქმიანობის შედეგია ცენტრის მისია და ხედვა, რომელიც 2013-2017 წლის სტრატეგიულ მიმართულებებზე აისახა – ცენტრის ორგანიზაციული განვითარება; საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების განვითარება; საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ცენტრის მომსახურების გაუმჯობესება. ამ ოთხი სტრატეგიული მიმართულების განვითარებაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იზრუნებს.

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

ჩვენ ერთნი ვართ

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა. ეს თარიღი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, 2011 წლიდან დაწესდა და მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც აღინიშნება. მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიებების მთავარი მიზანია საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერის მოპოვება. საზოგადოებას მწირი და, ხშირ შემთხვევაში, არასწორი ინფორმაცია აქვს შეზღუდული შესაძლებლობების, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა შესახებ. 22 მარტს კიდევ ერთხელ ახსენებენ საზოგადოებას, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ განათლების, შრომის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლება. სამედიცინო ტერმინოლოგიას საქართველოში დღემდე შემორჩა საბჭოთა ტერმინი „დაუნის სინდრომი“. თუმცა, დაუნის სინდრომი არა დაავადება, არამედ გენეტიკური სახეცვლილებაა. ადამიანების უმეტესობას თითოეულ უჯრედში 46 ქრომოსომა აქვს. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს კი ერთით მეტი – 47. სწორედ ამ ქრომოსომების ზედმეტი რაოდენობა იწვევს დაუნის სინდრომს – ანუ სპეციალური გონებრივი და ფიზიკური მახასიათებლების ერთობლიობას. 21 მარტის სიმბოლო ჭრელი წინდებია. ამ დღეს ყველა მსურველს შეუძლია მათი შეძენა და ამ ჟესტით საზოგადოებისთვის იმის შეხსენება, რომ დაუნის სინდრომის მქონეთა პრობლემები მნიშვნელოვანია. გახსოვდეთ, რომ დაუნის სინდრომის მატარებელთა 97%-ს მოსწონს საკუთარი თავი. ამიტომ შეიყვარეთ ისინი თქვენც!

თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია სპეციალური საჭიროების მქონე 21 მოსწავლე. ამიტომ, სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრების ინიციატივით, 21 მარტი საზეიმოდ აღინიშნა. სკოლის სააქტო დარბაზში წარმოდგენილი იყო 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების: **ნიკოლოზ კაპანაძის** (VIII^{3} კლასი), **გიორგი აგურაშვილის** (VI^{3} კლასი) და **ნუცა სტურუას** (VI^{დ} კლასი) ნახატები და ხელით შესრულებული სხვადასხვა ნამუშევრები. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით – „ჩვენ ერთნი ვართ“ – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებმა თანატოლების უმრავლესობასთან ერთად აღნიშნეს. ღონისძიებას უძღვებოდნენ 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: **ნინუცა ფილიური** და **ლექსო ყაველაშვილი**. მონაწილეობდნენ: **გიგა კოვალოვი, გეგა ბურჭულაძე, აკაკი ღვინჯილია, ზურა კაკაბაძე, მარიამ ხორბალაძე, ლელა ჯაგოდნიშვილი, ნათია როსტომაშვილი, ლელე ხუციშვილი, ანანო ცეცხლაძე, მარიამ უგულავა, ნინო ფალავანდიშვილი, გიორგი აგლაძე, დიანა ბერიძე, მიშკა თოფურია, ნათია როსტომაშვილი, ლაშა დანელია, გიორგი და თეკლა ყიფშიძეები, გიორგი გოგიძე, ანუკა პეტრიაშვილი, მარი ალადაშვილი, მარიამ აგურაშვილი.**

მზია გიორგაძე, საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი, სამოქალაქო განათლების კლუბის მეურვე: *„ჩვენი სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბმა გადაწყვიტა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე საზეიმოდ აღენიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვენი მოსწავლეები, რომლებიც, მეგობრებთან ერთად, სიმღერით, ცეკვით, თავიანთი ხელნაკეთი ნივთებით, ნახატებით აღნიშნავენ დღევანდელ დღეს, დევიზით – „ჩვენ ერთნი ვართ“. განსხვავებულობის მიუხედავად ჩვენ ერთად ვსწავლობთ ცხოვრებას და ერთად ვიღებთ განათლებას, ჩვენ თანასწორნი ვართ. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი ჩვენი სკოლის ბევრმა მოსწავლემ გამოთქვა, მადლობა მათ ამ ლამაზი დღისთვის“.*

გიორგი კაკაბაძე, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ – არც ერთი ჩვენგანი არ ჰგავს მეორეს. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს, რასაც ამ სკოლაში ვისწავლით, ეს არის ვიცხოვროთ ერთად სითბოთი და სიყვარულით, მხოლოდ სითბოთი და სიყვარულით თანამცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ განვითარება და წარმატების მიღწევა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს სკოლაში მყოფი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეები მაქსიმალურად ჩართულნი არიან სკოლის ცხოვრებაში, ისინი მეგობრობენ თანაკლასელებთან და მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში. დღევანდელი ღონისძიება მნიშვნელოვანია, რადგან დღეს თითოეული ჩვენგანის განსხვავებულობის მიუხედავად საფუძველი ჩაეყარა მშვიდობიან, მოსიყვარულე და თბილ ურთიერთობებს. მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს სამოქალაქო განათლების გუნდს, ჩვენი სკოლის ქართველი თინეიჯერების კლუბს. მიხარია, რომ დღეს კიდევ ერთხელ უამრავი ნიჭიერი ადამიანი აღმოვაჩინეთ“.*

აკაკი მგალობლიშვილი, IX კლასის მოსწავლე: *„ძალიან მომეწონა მოსწავლეების მიერ მოწყობილი საღამო, იმიტომ რომ ძალიან საინტერესო იყო. მოვისმინე ჩემთვის ნაცნობი და უცნობი სიმღერები, მომეწონა ლექსები, რომელიც ჩემმა მეგობრებმა წაიკითხეს. მე დღეს ძალიან გახარებული ვარ“.*

გრიგოლ ყიფშიძე, III კლასის მოსწავლე: *„ყველაფერი ძალიან კარგი იყო. მე და ჩემ დას – თეკლას ყველა მონაწილე ძალიან მოგვეწონა. განსაკუთრებით ლაშა დანელია. ჩემი და არასოდეს გამოსულა კონცერტზე და ამიტომ ძალიან ნერვიულობდა, მე არ ვნერვიულობდი, იმიტომ რომ ბევრ კონცერტზე გამოვდივარ. მაგალითად: ფორტეპიანოზე, ფოლკლორულ სიმღერებზე. ახლახან შევედი სიმღერაზე და ისე მომეწონა ჩემი ნამღერი, რომ უკვე კონცერტებზე გამოვდივარ. მე ჯექსონსაც ვცეკვავ. მამიკო გიტარაზე უკრავს, ჩვენს ოჯახში სულ მუსიკოსები არიან: დედა, მამა, ჩემი და, დეიდა, ბებო და მეც სულ*

ინფორმაცია

ვმღერით. ძალიან გამიხარდა, კონცერტს ჩემი კლასელები და დედიკოს მოსწავლეები რომ ესწრებოდნენ. ცოტა გული დამწყდა, ჯექსონი რომ ვერ ვიცეკვე და ვერც ინგლისური სიმღერები შევასრულე, მაგრამ ჯერ ხომ ყელაფერი წინ მაქვს. იცით, კიდევ მომეწონა ის, ბოლოს ყველამ ერთად რომ ვიმღერეთ, იმ სიმღერის ტექსტი. მე და თეკლამ არ ვიცოდით, მაგრამ ყველაფერი ორივეს ძალიან, ძალიან მოგვეწონა“.

ნინო ფილიური, X^ა კლასის მოსწავლე: *„ჩვენი დევიზია „ჩვენ ერთნი ვართ“, ანუ ჩვენ არავის ვანსხვავებთ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეები ჩვენი მეგობრები არიან. მათაც ჩვენსავით შეუძლიათ სწავლა, გართობა, ისინი, ისევე როგორც ჩვენ, საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, ამიტომაც ვართ ერთნი. დიდი მადლობა სკოლის დირექტორს, ბატონ გიორგი კაკაბაძეს, რომელიც გვერდში დაგვიდგა და საშუალება მოგვცა მეგობრებთან ერთად აღგვენიშნა დღევანდელი დღე. მიხარია, რომ ჩვენ ეს შევძელით“.*

თამარ ინწკირველი, X^დ კლასის მოსწავლე: *„ნებისმიერი საჭიროების ბავშვისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა და მით უმეტეს მსგავს ღონისძიებებში ჩართვა აუცილებელია. ისინი ჩვენი მეგობრები არიან. მადლობა, ჩემს თანატოლებს, ღონისძიებაში მონაწილე ყველა მოსწავლეს, რომლებმაც შესაძლებლობა მისცეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს დღევანდელი დღე მათთან ერთად ასე საინტერესოდ აღენიშნათ“.*

მამუკა ნაცვალაძე, მსოფლიო კულტურის მასწავლებელი: *„ბავშვები ჩვენი საზოგადოების ნაწილია და ყოველდღიურად უნდა იყოს განცდა იმისა, რომ ჩვენ ერთნი ვართ. უფრო ინტენსიურად უნდა მოხდეს ამ ბავშვების ინტეგრირება სოციუმთან. დღევანდელი დღე ამაღელვებელი და მისასალმებელია, დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებით მომავალში ჩვენი სკოლა იამაყებს, ისინი ცხოვრებაში წარმატებას აუცილებლად მიაღწევენ. მიხარია, რომ ამ ბავშვებს აქვთ განწყობა, რაც სამყაროს და საზოგადოების ერთიანობას ქმნის“.*

ნინო იაშვილი, სკოლის ფსიქოლოგი: *„მოგეხსენებათ, ინკლუზიური განათლება ნებისმიერი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას გულისხმობს. მე ვმუშაობ ბავშვებთან, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონენი არიან. მათი სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლება და სხვადასხვა ღონისძიებებში თანატოლებთნ ერთად ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. დღევანდელმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ერთნი ვართ. ამ ბავშვებს თანატოლების უმრავლესობასთან ერთად შეუძლიათ სიმღერა, ცეკვა, ხატვა და ხშირად თავიანთი შესაძლებლობებით ჩვენი გაოცებაც კი“.*

მაკა ყიფშიანი

ქართული როგორც მეორე ენა

მე და პროექტი „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“

ამ პროექტის შესახებ 2011 წელს შევიტყვე, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით და იმ წამსვე მივხვდი, რომ ეს „ის იყო“ – რაც ყოველთვის მინდოდა – ცნობიერად თუ არაცნობიერად. მას შემდეგ ორი წელი მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობდი... სხვა გზაზე არც მიფიქრია.

დიპლომი ავიღე, ტესტირებაც ჩავაბარე ქართულ ენაში... სასწაულია, მაგრამ გასაუბრებაზეც მოწონება დავიმსახურე. შემდეგ იყო ძალიან სერიოზული ტრენინგების სერია და სკოლებსა და ოჯახებში განაწილების პროცესი... ამის შემდეგ ჩემი მეგობრები საგონებელში ჩავარდნენ, შენს ოჯახში ქართულის მასწავლებელი უნდათ თუ სარძლოო. აქ მგონი მთავარი გამოვტოვე... ოჯახი, სადაც მე უნდა მეცხოვრა, ითხოვდა „ლამაზ და კულტურულ“ გოგონას (მადლობა ჩემს კოორდინატორს).

გავემგზავრე ღვთისა და საკუთარი თავის იმედად...

პირველი გაკვეთილიდან გამოსული, პირველად მივხვდი, რომ ბავშვი აღარ ვიყავი, ბავშვებმა „მასწავლებელო“ დამიძახეს.

სულ მალე კი დავრწმუნდი, რომ უპირობო დადებითი სიყვარული, კ. როჯერსისგან ძალიან შორს, ჩვენს პატარა სკოლაშიც არსებობდა და ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ნეტავ ასე რატომ ვუყვარვარ-მეთქი ბავშვებს. ნელ-ნელა უფრო გამითამამდნენ და ნახატების, წერილების, თავიანთი პაწაწუნა ხელებით, ქაღალდის ყვავილების შექმნა დაიწყეს ჩემთვის. დღითი დღე ვრწმუნდებოდი, რომ ჩემს აქ ყოფნას „ვამართლებდი“. მახსოვს ერთხელ, მე-4 კლასში გაკვეთილი დამთავრდა და კლასიდან გავდივართ მე და ქართული ენის ადგილობრივი მასწავლებელი. პერტოსმა მითხრა: „შენ დარჩი მასწავლებელო“.

მე-7 გაკვეთილს ვატარებდი... თემა გავშალეთ და თბილისზე ვსაუბრობდით: ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ, პრეზენტაციები მის ღირსშესანიშნაობებზე, ლექსი, სიმღერა... და ზარი დაირეკა. „მასწავლებელო ზარი არ არისო“ და ისხდნენ გაუნძრევლად. მე ამ დროს უბედნიერესი ვიყავი... თვითონ კი ამაყები იყვნენ, როცა პაწაწა, კვადრატული უჯრების ლაბირინთს თავი გაართვეს და ჩემი შედგენილი კროსვორდი სიხარულით ამოხსნეს.

პირველკლასელები ხომ საერთოდ, მოსიარულე სასწაულები არიან. „ეს რა არის?” - ვეკითხები მე. „ეს რა არის“ – იმეორებს მთელი კლასი. არ ესმით ეს „ჩვენი ენა ქართული“ და რა ქნან, სამაგიეროდ ესმით Body Language. გაკვეთილზე მეძახის ვენედიკი, ეკა მასწავლებელოო, მივიხედე და თითით მაჩვენებს, თუ როგორ ენძრევა კბილი... მათი სახლში წასვლის პროცესი, ჩემი ყოველდღიური საქმიანობის (კარგი გაგებით) ნუსხაში მაქვს შეტანილი. რიგში დგანან, რომ მე ჩავაცვა ქურთუკები, დავეხმარო ჩანთის შეკვრასა თუ ზურგზე მორგებაში.

ვალენტინობის დღეს (მოსწავლეები კათოლიკეები არიან), გასართობ-შემეცნებითი საღამო დავგეგმე: პრეზენტაცია, პოეზია, ცეკვისა და სიმღერის კარაოკე და ბევრი საინტერესო თამაში. ყველა ძალიან კმაყოფილი იყო. სახლისკენ მიმავალ გზაზე მე-12 კლასელი არმანი მეკითხება: „მასწავლებელო, 23 თებერვალს რას ვაკეთებთ? 8 მარტს რას ვაკეთებთ?“ და კიდევ ეძებდა ერთად „რამის“ კეთების „მიზეზს“.

ყოველ საღამოს ვფიქრობ, რომ ვერაფერი შეედრება მოსწავლეების გაბრწყინებულ თვალებს ჩემს დანახვაზე, კლასში ჩემი შესვლისას დაკრულ სიხარულის ტაშს, როცა ზარის ხმა არც ისეთი სასიამოვნოა და იმას, ჩემს გამო რომ ქართული უფრო შეიყვარეს.

ეკა ღვინიაშვილი
ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს საჯარო სკოლის მოხალისე მასწავლებელი

ბიოლოგია

ცოცხალი სამყაროს განვითარების ისტორია – ევოლუცია. მოძღვრება ევოლუციის შესახებ. მიკროევოლუცია. მაკროევოლუცია. ევოლუციის დამამტკიცებელი საბუთები

ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

ევოლუციის თეორია შეისწავლის ევოლუციური პროცესის მიზეზებსა და კანონზომიერებებს. არსებობს რამდენიმე კონცეფცია. კონცეფციებისა და ჰიპოთეზების პირველი ჯგუფი ტრადიციულად დაკავშირებულია ჟ. ბ. ლამარკის სახელთან. ლამარკი თვლიდა, რომ ყველა ცოცხალი ორგანიზმი მიზანმიმართულად ეგუება გარემოს. ასე ხსნიდა იგი ევოლუციის ერთ-ერთ თავისებურებას – შეგუებლობას. უფრო რთული და სრულყოფილი ფორმების ჩამოყალიბებას – ევოლუციურ პროგრესს იგი ხსნიდა „გრადაციის კანონით“ – ცოცხალი ორგანიზმების სწრაფვით თავისი აგებულების გართულებისაკენ და რადგანაც წარმოიქმნა, შეგუებულობითი ცვლილებები შემდგომში გადაეცემა მემკვიდრეობით. ამრიგად, ლამარკის აზრით, სახეობები განიცდის ევოლუციას, ეგუება გარემოს და ურთულდება სტრუქტურა, რადგანაც მათ ასეთი თვისება აქვთ – შეეგუონ და გართულდნენ. მაგ; თეთრი დათვი გათეთრდა თოვლისაგან, ეს გარემოს გავლენაა ან თვითონ ორგანიზმს აქვს უნარი, რომ იპოვოს სწორი გადაწყვეტილება როგორ გაიუმჯობესოს საკუთარი თავი და უფრო მეტიც, თვითონვე შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელება. ლამარკიზმი ვერ ხსნის ევოლუციის მექანიზმს. თუნდაც ბევრ ევოლუციურ შეგუებულობას, მაგ; ყვავილების ფორმები და აგებულება, რომელიც მიმართულია დამტვერვის გაზრდის ალბათობისაკენ, ანდა ძუძუმწოვრებში პლაცენტისა და სარძევევე ჯირკვლების წარმოქმნა. მიზანმიმართული შეგუება არის ევულუციის შედეგი და არა მიზეზი.

მეორე კონცეფცია, რომელსაც ამჟამად იზიარებს მეცნიერთა უმრავლესობა, ეკუთვნის დარვინსა და ოულესს. ევოლუციის თეორიის ჩამოყალიბებისას დარვინი ეყრდნობოდა შემდეგ დებულებებს:

1. ყველა მცენარე და ცხოველი განიცდის მემკვიდრულ ცვალებადობას და წარმოქმნის მრავალი ნიშნით განსხვავებულ შთამომავლობას. დარვინმა ეს დაასაბუთა მრავალი მაგალითით. ამჟამად ვიცით, რომ ეს ცვალებადობა გამოწვეულია მუტაციებით.

2. დედამიწაზე ყველა ორგანიზმი მრავლდება გეომეტრიული პროგრესიით, ანუ წარმოქმნილი შთამომავლობა ბევრად აჭარბებს ზრდასრულ ინდივიდებს. ხელსაყრელ პირობებში (მტრის არყოლა და გამოულევი საკვები) ნებისმიერი სახეობის რიცხობრიობა მიაღწევდა ფანტასტიკურ როცხვს. მაგ; ცხოველებიდან ყველაზე ნელა მრავლდება სპილო, 750-740 წელიწადში ერთი წყვილის შთამომავლობა 19 მილიონამდე ავიდოდა.

3. მაგრამ, როგორც წესი, ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება. თუმცა არის შემთხვევები, როცა რიცხობრიობა ძალიან იზრდება, მაგ; ვირუსების, გრიპის ეპიდემიების დროს ანდა ევროპიდან ავსტრალიაში შეყვანილი ბოცვრებისა, მაგრამ ძირითადად ყველა ორგანიზმების რიცხობრიობა საშუალოდ მეტ-ნაკლებად მუდმივი რჩება. მიზეზი მარტივია: შთამომავლობიდან ბევრი ვერ აღწევს ზრდასრულ ასაკამდე, ვირთევზა ყრის 10 მილიონამდე ქვირითს, მაგრამ ყოველ თაობაში სქესობრივ სიმწიფემდე აღწევს არა უმეტეს ორი თევზისა. თუ მათი რიცხვი გაიზრდება, მაშინ ზღვებსა და ოკეანეებში თევზის რაოდენობა გადააჭარბებდა წყლის რაოდენობას, ხოლო ორზე ნაკლები თევზის გადარჩენის შემთხვევაში ეს სახეობა გადაშენდებოდა. აქედან დარვინმა დაასკვნა, რომ გადარჩება არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული.

დარვინმა ბუნებრივი გადარჩევითა და შემთხვევითი მემკვიდრული ცვლილებებით ახსნა ორგანიზმთა შეგუება საარსებო გარემოსთან. ეს ცვლილებები (ახლა უკვე ვიცით მუტაციები) არაა შემგუებლობითი, რადგანაც მათი წარმომშობი მიზეზი არაფრით არაა დაკავშირებული იმასთან, რაზედაც ეს გენია პასუხისმგებელი. მაგრამ ზოგჯერ ეს შემთხვევითი ცვლილება აღმოჩნდება ხელსაყრელი სიცოცხლისათვის და გამრავლებისათვის მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ამ ცვლილებების მატარებლებს უფრო მეტი შანსი გააჩნიათ, რომ დატოვონ შთამომავლობა და იმარჯვებენ არსებობისათვის ბრძოლაში. სწორედ ბუნებრივი გადარჩევა წარმოადგენს ევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას, რომელიც აძლევს მას მიმართულებას, ასე მიიღება მიზანშეწონილობა და შეგუება.

კარგად ხსნის დარვინიზმი პროგრესულ ევოლუციასაც. რთული, მაღალორგანიზებული ფორმები არსებობისათვის ბრძოლაში ამარცხებს უფრო მარტივებს არა იმიტომ, რომ უფრო რთულებია, არამედ იმიტომ, რომ ისინი უკეთ არიან შეგუებულნი საარსებო გარემოს. იქ, სადაც გარემო პირობები განსაკუთრებულ უპირატესობას არ აძლევს რთულ ფორმებს, ისინი არც წარმოიქმნება. ხოლო გარემო პირობების გამარტივებისას შეიმჩნევა არა პროგრესი, არამედ რეგრესი – უკან სვლა გამარტივებისაკენ. ამის მაგალითია ჰელმინთები – ადამიანისა და ცხოველების პარაზიტი ჭიები.

ევოლუციური მოძღვრების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გენეტიკის განვითარებასთან და განსაკუთრებით ცვალებადობის შესწავლასთან. ცვალებადობა არის მუტაციები და კომბინაციური ცვალებადობა. ამ ორ კატეგორიად დაყოფის შემდეგ წარმოიქმნა წინამძღვრები ევოლუციის ახალი, სინთეზური თეორიისათვის. ასე უწოდებენ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს დარვინიზმის სინთეზს კლასიკურ გენეტიკასთან და პოპულაციების თეორიასთან. მისი არსი შემდეგშია: გენებში წარმოქმნილი ცვლილება, აგრეთვე სქესობრივი გამრავლებისას მიღებული გენების კომბინაცია ექვემდებარება გადარჩევას გარემო ფაქტორების ზემოქმედებით.

მესამე, თანამედროვე ეტაპი ევოლუციური მოძღვრების განვითარებაში დაიწყო მოლეკულური ბიოლოგიის, პირველ რიგში, მოლეკულური გენეტიკის განვითარების შემდეგ. გაირკვა, რომ მუტაციები არცთუ იშვიათია. მათი გადარჩევა იწყება უკვე სასქესო უჯრედების – გამეტების ფორმირებისა და ჩანასახის ადრეული განვითარების სტადიებზე. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ სქესობრივი პროცესი, რომელიც მოიცავს მეიოზსა და განაყოფიერებისას გამეტების შემთხვევით შეხვედრას, არ წარმოადგენს გენეტიკური მრავალფეროვნების ერთადერთ წყაროს. ერთი ორგანიზმიდან მეორეზე გენები შეიძლება გადაიტანოს ვირუსმა – ტრანსდუქცია/ ხოლო პროკარიოტებში მუტაციასთან ერთად ტრანსდუქცია, პრაქტიკულად, ერთადერთი მასალაა ევოლუციისათვის.

ამრიგად, ევოლუციის მამოძრავებელი ძალებია: ბრძოლა არსებობისათვის, ბუნებრივი გადარჩევა და მემკვიდრული ცვალებადობა.

გადარჩევა შეიძლება განვიხილოთ ორ ურთიერთდაკავშირებულ დონეზე – ორგანიზმულ და ალელურ დონეებზე.

ბუნებრივი გადარჩევა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც გადარჩებიან და შთამომავლობას დატოვებენ უპირატესად ის ინდივიდები, რომელთაც აღმოაჩნდება სასარგებლო მემკვიდრული ცვლილებები, ანუ უკეთ იქნებიან შეგუებული საარსებო გარემოს.

გადარჩევის ეფექტურობა მიიღწევა დიფერენციული გამრავლებით და დიფერენციული სიკვდილიანობით. გადარჩევის ადაპტაციური ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს იმ ორგანიზმების შენარჩუნებას, რომელთაც მეტი ალბათობით შეუძლიათ უზრუნველყონ მოცემული სახეობის გადარჩენა, ხოლო მისი ეფექტურობა დამოკიდებულია პოპულაციაში ფენოტიპური ცვლილებების არსებობაზე.

პოპულაციის რიცხობრიობის ზრდის შემთხვევაში, გარემოს ზოგიერთი ფაქტორი, როგორიცაა საკვები ცხოველებისათვის და სინათლე მცენარეებისათვის, ლიმიტირებული ხდება, რაც, თავის მხრივ, ზრდის კონკურენციას პოპულაციის შიგნით. ორგანიზმები, რომელთაც ინდივიდუალური თავისებურება აძლევთ უპრატესობას კონკურენციაში, გადარჩებიან და დატოვებენ შთამომავლობას, ხოლო სხვები დაიღუპებიან ან ვერ დატოვებენ შთამომავლობას. გარემოს ლიმიტირებული ფაქტორების მოქმედება და პოპულაციის რიცხობრიობა ქმნის გადარჩევის ზეწოლას, რომლის ინტენსივობაც სხვადასხვა შეიძლება იყოს.

ამრიგად, გადარჩევა ესაა პროცესი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ალელები უნდა გადაეცეს შთამომავლობას. დიფერენციული უპირატესობა გამოავლენს ამ ალელებს, ხოლო ისინი ექსპრესირდება ფენოტიპში. გადარჩევის ზეწოლა შეიძლება განვიხილოთ როგორც საშუალება, რომელიც ამცირებს ან ზრდის რომელიმე ალელის გავრცელებას გენოფონდში და ალელების სიხშირის ამ ცვლილებამ შეიძლება მიგვიყვანოს ევოლუციურ ცვლილებამდე. მასშტაბური ცვლილებები განოტიპში წარმოიქმნება გენოფონდში მუტანტური ალელების გავრცელების შედეგად.

გადარჩევის ხარისხი და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოცემულ ფენოტიპურ ნიშანზე. დომინანტური ალელი სწრაფადვე გამოვლინდება ფენოტიპურად და მაშინათვე იწყება მისი დადებითი ან უარყოფითი გადარჩევა. რეცესიული ალელი, და ასეთია მუტაციების უმრავლესობა, გადარჩევას არ ექვემდებარება მანამ, სანამ არ გადავა ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში. ასეთი რეცესიული ჰომოზიგიტების სწრაფი გამოვლენის ალბათობა მცირეა და ახალი ალელი შეიძლება გაქრეს გენოფონდიდან. მოცემულ პირობებში რეცესიული ალელი შეიძლება შენარჩუნდეს პოპულაციაში და როდესაც გარემოში შეიქმნება მისთვის ხელსაყრელი პირობები, იგი გადავა დომინანტურში. თუ ორგანიზმისათვის ეს აღმოჩნდება ხელსაყრელი, გადარჩევა შეინარჩუნებს მას და გავრცელდება პოპულაციაში. ამის მაგალითია ნამგლისებური ანემია. დაავადებას იწვევს გენური მუტაცია. ჰეტეროზიგოტური ფორმები კლინიკურად ჯანმრთელები არიან, ხოლო ჰომოზიგოტურები ანემიით იღუპებიან, ვერ აღწევენ რეპროდუქციულ ასაკს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ პოპულაციაში ლეთალური რეცესიული ალელის სიხშირე საკმაოდ მაღალია. კერძოდ კი იმ რაიონებში (სამხრეთი და დასავლეთი აფრიკა, ხმელთაშუაზღვისპირეთი, პაკისტანი, ინდოეთი), სადაც მალარიაა გავრცელებული. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ჰეტეროზიგოტები მალარიით არ ავადდებიან, ხოლო ნორმალური ალელის მიხედვით ჰომოზიგოტები მალარიით იღუპებიან, ლეთალური ალელის მიხედვით ჰომოზიგოტები კი ანემიით. იმ რეგიონებში, სადაც მალარიაა გავრცელებული, ჰეტეროზიგოტებს ენიჭება უპირატესობა ჰომოზიგოტებთან შედარებით. როცა ჩამოყალიბებული ნიშანი ადაპტურ მნიშვნელობას კარგავს, მაშინ მისი შენარჩუნება პოპულაციაში აღარ ხდება და ლეთალური გენის კონცენტრაცია თანდათანობით ქვეითდება. აშშ-სა და ბრაზილიაში, სადაც მალარია არ გვხვდება, ზანგ მოსახლეობაში ჰეტეროზიგოტ ინდივიდთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ აფრიკელებში, საიდანაც ისინი იღებენ სათავეს.

რეცესიული მუტანტური ალელი სწრაფად გავრცელდება პოპულაციაში, თუ მისი ლოკუსი ქრომოსომაში შეჭიდულია რომელიმე დომინანტური ალელის ლოკუსთან და ეს დომინანტური ალელი ექვემდებარება ძლიერ დადებით გადარჩევას, ე. ი. მას მნიშვნელოვანი ფუნქციური დანიშნულება გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, მუტანტური ალელის ჰომოზიგოტურში გადასვლის შანსი იზრდება.

მუტანტური ალელების ფენოტიპური ეფექტები სხვადასხვაა. მნიშვნელოვანი ფუნქციების მაკონტროლებელი გენების მუტაცია დიდი ალბათობით ლეთალურია და სწრაფად გამოიდევნება პოპულაციიდან. ევოლუციური ძვრები, როგორც წესი, ხდება იმ მუტანტური ალელების თანდათანობითი გამოვლენით, რომლებიც იწვევს ფენოტიპის მცირე პროგრესულ ცვლილებებს.

არის სამი სახის გადარჩევა: **მამოძრავებელი, მასტაბილიზირებელი და დიზრუპტული.**

❖ **მასტაბილიზირებელი გადარჩევა** მიდის იმ დროს, როცა ფენოტიპური ნიშნები ოპტიმალურად შეესაბამება გარემო პირობებს და კონკურენციაც შესაბამისად სუსტია. ასეთი გადარჩევა მოქმედებს ყველა პოპულაციაზე და გადაარჩევს შუალედურ ფორმებს, მაგალითად: მტაცებელ ფრინველებში გამოდევნის იმ ინდივიდებს, რომელთა ფრთები ოპტიმალურზე გრძელი ან მოკლეა. მეორე, მაგალითად: ნიუ-იორკში თოვლიანი ქარიშხლის დროს 327 გათოშილი ბეღურიდან, რომლებიც ქუჩებში მოაგროვეს, გადარჩნენ მხოლოდ ის ბეღურები, რომელთა ნიშან-თვისებები: ფრთის, ნისკარტის სიგრძე, სხეულის მასა მიახლოებული იყო საშუალო ნორმასთან, ნორმიდან გადახრილები დაიღუპნენ, თუმცა ყველას ერთნაირად უვლიდნენ. მასტაბილიზირებელი გადარჩევა შენარჩუნებულია ადამიანშიც. მაგ; თუ ახალშობილთა მასა 3600გ-ზე ბევრად მეტი ან ნაკლებია, მაშინ მათი სიკვდილიანობა მაღალია და ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული მოვლა.

❖ **მამოძრავებელი გადარჩევის** დროს გადაირჩევა ნორმიდან გადახრილი ერთი ნიშანი. ამ გზით მიიღება ახალი ფორმები, რომლებიც უკეთ არიან შეგუებული საარსებო გარემოს, ვიდრე მათი მშობლები. მაგ; ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული (მდგრადი) ბაქტერიები, ზხამქიმიკატებისადმი გამძლე მწერები და მღრღნელები, გვალვა და ყინვაგამძლე მცენარეები.

❖ **დიზრუპტული გადარჩევის** დროს გადაირჩევა ნორმიდან გადახრილი ერთზე მეტი ფორმები. გარემოს ცვლადი პირობები ხელს უწყობს პოპულაციის შიგნით რამდენიმე განსხვავებული ფენოტიპის გაჩენას, გადარჩევის ზემოქმედებით შენარჩუნდება ნორმიდან გადახრილი უკიდურესი ფორმები და შედეგად პოპულაცია დაიყოფა ორ სუბპოპულაციად. თუ გენთა ნაკადი[1] ამ სუბპოპულაციებს შორის რაიმე მიზეზით დაირღვევა, მაშინ თითოეული დასაბამს მისცემს ახალ სახეობას. ზოგიერთ შემთხვევაში პოპულაციაში გადარჩევა შეინარჩუნებს რამდენიმე ფენოტიპს, მას პოლიმორფიზმი ეწოდება. ამ დროს პოპულაცია იყოფა რამდენიმე ჯგუფად (რასები, ფორმები), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მორფოლოგიურად, გამრავლების ვადებით, ანდა იკვებებიან განსხვავებული საკვებით. შემდეგში თითოეული მათგანიდან შეიძლება წარმოიქმნას ახალი სახეობები. მაგალითად: ორაგულისებრი თევზები ტბებში წარმოქმნიან ორ ფორმას – წვრილი თევზები, რომლებიც იკვებებიან კიბოსნაირებით და მსხვილი თევზები, მტაცებლები. ევროპაში, ტბაში ოხრიდი, ასეთი ფორმებისგან ორი ახალი სახეობა ჩამოყალიბდა. ერთ-ერთ მათგანს უკვე სხვა გვარსაც მიაკუთვნებენ.

ბუნებრივი გადარჩევის გარდა არის ხელოვნური გადარჩევა, რომელსაც აწარმოებს ადამიანი საკუთარი მიზნების შესაბამისად. ხელოვნური გადარჩევის შედეგად მიიღება ჯიშები.

პედაგოგთა დასახმარებლად

მიკროევოლუცია – სახეობათა წარმოქმნა

სახეობათა წარმოქმნას უწოდებენ პროცესს, როდესაც უკვე არსებული სახეობებიდან წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახეობა. ახალი სახეობების წარმოქმნა ხდება პოპულაციებიდან, რადგანაც სახეობა არსებობს პოპულაციების სახით. განარჩევენ **ალოპატრიულ და სიმპატრიულ სახეობათწარმოქმნას**.

ალოპატრიული სახეობათწარმოქმნის მიზეზია სივრცობრივი დაშორება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მთებმა, ზღვებმა, მდინარეებმა და სხვ. ანდა პოპულაცია იცვლის საარსებო გარემოს. ეს ყველაფერი ხელს უშლის გენთა ნაკადს.[2] ორგანიზმები ან მათი გამეტები ერთმანეთს ვერ ხვდებიან, რაც იწვევს რეპროდუქციულ იზოლაციას. ახალ საარსებო გარემოსთან შეგუება და შემთხვევითი გენთა დრეიფი მცირე პოპულაციებში იწვევს ალელთა სიხშირისა და გენოტიპის ცვლილებას. პოპულაციების ხანგრძლივი დაშორების გამო მათ შორის წარმოიქმნება გენეტიკური იზოლაცია (ვერ შეჯვარდებიან), რომელიც შენარჩუნდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კვლავ ერთად აღმოჩნდებიან. ამრიგად მიიღება ახალი სახეობები. მაგალითად: მთიულების Goespizidae ოჯახის სახეობების მრავალგვარობა და მათი გავრცელება გალაპაგოსის არქიპელაგის კუნძულებზე, თვლიან, რომ წარმოადგენს ალოპატრიული სახეობათწარმოქმნის შედეგს. როგორც ფიქრობენ, მთიულები კუნძულზე მოფრინდნენ სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან და რადგანაც ადგილობრივი სახეობებიდან არ იყო კონკურენცია, შეეგუვნენ სხვადასხვა ეკოლოგიურ ნიშას და წარმოიქმნა მთიულების მრავალი სახეობა.

სიმპატრიული სახეობათწარმოქნის დროს არ ხდება პოპულაციების ტერიტორიული დაშორება. ამ დროს გენეტიკური იზოლაციის მიზეზი შეიძლება იყოს სტრუქტურული, ფიზიოლოგიური, ქცევითი ან გენეტიკური მექანიზმები. მაგალითად: გალაპაგოსის კუნძულებზე გავრცელებული მთიულებიდან ერთი სახეობა Camarhynkus pauper სახლობს მხოლოდ კუნძულზე ჩარლზი, აქვე სახლობს მისი მონათესავე ფორმა C. psittacula, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ კუნძულებზეც. მთიულების ეს სახეობები გამრავლების დროს პარტნიორს ირჩევენ ნისკარტის სიგრძის მიხედვით. ნისკარტების სიგრძის დიაპაზონი C. pauper კუნძულ ჩარლზიდან და C. psittacula-ს კუნძულ ალბემარლიდან თითქმის ერთნაირია, მაგრამ კუნძულ ჩარლზის C. pauperუფრო გრძელი ნისკარტი აქვს. ასეთი სხვაობა უკვე საკმარისია, რომ ეს ორი სახეობა, რომლებიც განსხვავდება საკვების ტიპით, ყურადღებას არ აქცევს ერთმანეთს გამრავლების პერიოდში.

1. **გენთა დრეიფი** ეწოდება თაობათა მანძილზე შემთხვევითი პროცესებით გამოწვეულ ალელთა სიხშირის ცვლილებას პოპულაციაში.

2. **გენთა ნაკადი** ეწოდება პოპულაციათა შორის გენთა მიმოცვლას.

გეოგრაფია

ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება გეოგრაფიის გაკვეთილზე

მანანა სეხნიაშვილი
გეოგრაფიის მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გეოგრაფიის ტრენერი

სწავლის თანამედროვე მიდგომებით სწავლა ნიშნავს არა მარტო ინფორმაციის შეძენასა და დაგროვებას, არამედ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: დეკლარატიული (სტატიური), პროცედურული (დინამიური) და პირობისეული (ფუნქციური).

ბენჯამენ ბლუმის სააზროვნო (კოგნიტური) უნარების განვითარების ტაქსონომია მასწავლებელს ეხმარება ინტერაქტიული გაკვეთილების დაგეგმვაში, მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარებაში და ცოდნის დეკლარატიული (სტატიური) კატეგორიიდან პირობისეულ (ფუნქციური) ცოდნამდე აყვანაში.

ბლუმის მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ იყოფა. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. პირობითად, ცოდნას, გაგებას და გამოყენებას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ქვედა (დაბალი) დონის სააზროვნო უნარები, ხოლო ანალიზს, სინთეზს და შეფასებას კი აზროვნების (მაღალი) დონის სააზროვნო უნარები. სინთეზი და შეფასება შესაძლოა გადანაცვლდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა შეფასება. თუ შეფასება არ არის სტრატეგიული და არ უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ იგი უფრო ზედა, ნაკლებად რთული სააზროვნო ოპერაცია იქნება, ვიდრე სინთეზი.

დამეთანხმებით, ბლუმის ტაქსონომია მასწავლებლის გზამკვლევია, რომელიც შედეგის მიღწევაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ გაკვეთილზე შეიძლება არ მოხდეს მაღალი სააზროვნო დონეების მიღწევა (გეოგრაფიის გაკვეთილზე), გამოყენების დონეზე გასვლა მაინც უნდა ხდებოდეს. გეოგრაფიის გაკვეთილს იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ მარტო რუკასთან დაკავშირებული ნებისმიერი მუშაობით გამოყენების დონის ამოქმედებაა შესაძლებელი, რომ არაფერი ვთქვათ იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და კანონზომირებების დადგენაზე, რასაც გეოგრაფია, როგორც საგანი, გვთავაზობს.

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:

მე-8 კლასი მოსახლეობის დემოგრაფია.

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. რა არის დემოგრაფია?
2. რა არის მოსახლეობის დინამიკა?
3. რა არის ბუნებრივი მოძრაობა?
4. რა არის მექანიკური მოძრაბა?

ამ კითხვებზე პასუხებს მოსწავლეები პოულობენ გეოგრაფიულ ლექსიკონში.

შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად და ნაწილდება დავალებები:

პირველმა ჯგუფმა მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკების გამოყენებით უნდა დაადგინოს, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ლიდერი 10 და 10 აუტსაიდერი ქვეყანა.

ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით



მეორე ჯგუფმა მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკების გამოყენებით დაადგინონ დედამიწაზე ყველაზე მჭიდროდ და მეჩხერად დასახლებული რეგიონები და შესაბამისი ქვეყნები.



მოსწავლეები ქვეყნებს აჯგუფებენ ორი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ეს აქტივობა მხოლოდ გამოყენების დონეზე გადის, მოსწავლეებს უნვითარებს რუკის კითხვისა და გეოგრაფიული ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნარებს და, ამავე დროს, ხდება ქვეყნების კონფიგურაციების დამახსოვრება.

შემდეგი აქტივობით მაღალი სააზროვნო დონეების მიღწევაა შესაძლებელი.

მოსწავლეებმა უნდა:

1. განსაზღვრონ, რა მიზეზებით ხდება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი შემცირება ან მატება. სცადონ პრობლემების სიმძაფრის მიხედვით დალაგება (გამოყენება და ანალიზი).
2. გამოთქვან მოსაზრება, რომელ ქვეყანაში როგორ დემოგრაფიულ პოლიტიკას გაატარებენ (სინთეზი და შეფასება).

წერილობით გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა.

მეორე მაგალითი:

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

თემის განხილვამდე მასწავლებელს შეუძლია დავალებად მისცეს ჯგუფებს: გაიგონ სხვა კლასების მოსწავლეთა რაოდენობა და დააჯგუფონ ვაჟები და გოგონები ცალ-ცალკე. სასურველია, ინფორმაცია არა პარალელური, არამედ სხვა, განსხვავებული კლასებიდან მოიპოვონ (მაგ: მე-6, მე-7 , მე-8 კლასები). ერთ ჯგუფს ექნება მე-7 კლასი, მეორეს მე-8 კლასი და ა.შ.

გაკვეთილისთვის მონაცემები ცხრილის სახით უნდა წარმოადგინონ. ფორმატის ქაღალდზე, რომელზეც წინასწარ იქნება დახაზული კოორდინატთა სიბრტყე, თითოეული ჯგუფი თავის მონაცემებს გადაიტანს. მოსწავლეები თავად აგებენ სქესობრივ-ა საკობრივ პირამიდას. ბუნებრივია, ამ ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ სქემატური ნახაზის შედგენაა შესაძლებელი. ამ აქტივობით მოსწავლეები სწავლობენ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების გრაფიკულად გამოსახვას (გამოყენება).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაადგინონ კავშირი ბუნებრივ მატებასა და სქესობრივ- ასაკობრივ სტრუქტურას შორის (ანალიზი).

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავად ააგებენ სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას, უკეთ გაანალიზებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ნახაზებსა და დემოგრაფიულ პირამიდებს. თითოეულ ჯგუფს ეძლევა ერთი პირამიდა. ისინი უნდა გაეცნონ და აღწერონ 1989 და 1999 წლების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდები. ასევე დაადგინონ:

1. როგორ იცვლება ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა წლების მიხედვით;
2. ჩამოთვალონ მიზეზები, რომელთა გამო ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცთა რაოდენობას (ანალიზი).

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს და გამოაქვთ დასკვნა, რომ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის დემოგრაფიულ სიტუაციას.

გეოგრაფიული ცნობარიდან მასწავლებელი ორი კონტრასტული რეგიონის დემოგრაფიულ მონაცემებს აძლევს. მათ უნდა შეადარონ ეს მონაცემები და გამოიტანონ დასკვნა, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზე. რეგიონებს ირჩევენ თავად (ანალიზი).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი:

1. როგორ დემოგრაფიულ პოლიტიკას გაატარებდნენ საქართველოში?
2. რა ღონისძიებებს დაგეგმავდნენ არჩეული პოლიტიკის გასატარებლად?

დავალებას ასრულებენ ჯგუფებში. სამუშაო საინტერესო და სახალისო რომ იყოს, შესაძლებელია დავალებას „კანონპროექტის“ სახე მიეცეს. ჩასატარებელი ღონისძიებები პუნქტების (მუხლების) სახით ჩამოაყალიბონ. პრეზენტაციის დროს შემუშავდება საერთო „კანონპროექტი“ (შეფასება).

პროფესია პედაგოგი

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ხევსურ ბავშვებთან ვიმუშავებდი

პირველი გვერდიდან

დავამსხვრიოთ სტერეოტიპი მასწავლებლის პროფესიის შესახებ

მასწავლებლობაზე არასოდეს მიფიქრია და მით უმეტეს ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ხევსურ ბავშვებთან ვიმუშავებდი. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობით მოვეკიდე ჩემს მოვალეობას, მასწავლებლობა უფრო მათთან ყოფნის საშუალება იყო, ვიდრე პროფესიული მოწოდება. თავიდან არ ვიცოდი, ეს როგორ უნდა გამეკეთებინა, მით უმეტეს, რომ რაც ადამიანის განვითარებას და მის მომავალს ეხება, ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია; თუმცა, სასწავლო პროცესი ჩემთვის იმდენად სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გამეკეთებინა ყველაფერი, რისი გაკეთებაც მინდოდა 45 წუთში, მაშინაც კი, როცა კლასში ორი ბავშვი მეჯდა.

სამწუხაროა, რომ სტანდარტულმა სასწავლო მეთოდმა, რომელიც გაკვეთილის ახსნით და დავალების მიცემით შემოიფარგლება და რომელსაც მეთოდს ვერც დავარქმევთ, ძალიან დიდხანს გააგრძელა არსებობა. დიდი სურვილი მაქვს, რომ სტერეოტიპი მასწავლებლის პროფესია, მალე გაქრეს. რატომღაც ითვლება, რომ ეს არის მოსაწყენი, არააზალგაზრდული პროფესია. დღეს ეს სპეციალობა პოპულარული არ არის, თუმცა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანია. დროთა განმავლობაში, დავრწმუნდი, რომ ეს მრავალფეროვნება უსაზღვრო საშუალებას იძლევა, ძალიან დიდ დადებით ენერგიას და სტიმულს გაძლევს მუდმივად ვითარდებოდე, მეტი მისცე და შენც მეტი სიყვარული მიიღო მოსწავლეებისგან.

პრობლემა

მიმაჩნია, რომ განათლება საქართველოში მთავარი პრობლემაა, რომელიც შემდეგ უამრავ სხვადასხვა სახის პრობლემას აჩენს ყველა დარგში და ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ყველა ასპექტში. საქართველოს რეგიონები ქვეყნის მთავარი მაცოცხლებელი ძალაა და საერთო განათლების დონეც რეგიონებზეა დამოკიდებული, აქ კი სავალალო მდგომარეობაა. რეგიონების მასწავლებლებს არ აქვთ საშუალება გაიღრმავონ ცოდნა და აიმაღლონ კვალიფიკაცია, თბილისში დაესწრონ ტრენინგებს, მიიღონ ინფორმაცია სასწავლო გეგმის სწორად განხორციელების შესახებ უშუალოდ კომპეტენტური პირებისგან. ჩემი აზრით, ტრენერები თავად უნდა ჩავიდნენ რეგიონებში, რაც ბევრად უფრო მარტივია და ადგილზე გაითვალისწინონ საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სასწავლო გეგმა მომწონს, თუკი არ არსებობს კადრები, ვინც ამ გეგმას შესაბამისად განახორციელებს, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს გეგმა საერთოდ იარსებებს თუ არა. რამდენად ეფექტურიც არ უნდა იყოს თანამედროვე სასწავლო მეთოდები, თუ მასწავლებელმა არ იცის, როგორ გამოიყენოს ისინი, რაზე გააკეთოს მთავარი აქცენტები და საერთოდ, რა მიზანს ემსახურება მისი შრომა, მაშინ ყველაფერი ძნელდება.

იმისთვის, რომ რაღაც გააუმჯობესო, კარგად უნდა ერკვეოდე პროგლემაში

სასწავლო გეგმას ყველა რეგიონს ცალ-ცალკე ვერ მოარგებ, მაგრამ განახორციელების სტრატეგია შესაძლებელია, ყველა რეგიონში სხვადასხვა იყოს, მათი პრობლემების გათვალისწინებით. ვფიქრობ, იმისთვის, რომ რაღაც გააუმჯობესო, ჯერ ძალიან კარგად უნდა ერკვეოდე პრობლემაში. ყველა კუთხეს საკუთარი თავისებურებები აქვს. მაგალითად, ხევსურეთში ყველა ბიჭს ჯარში წასვლა უნდა, ამას ვერ გავიგებდი, იქ რომ არ მეცხოვრა. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, მეგობრებმა გადავწყვიტეთ, კანფეტების გაგზავნის მაგიერ, ხშირად ჩავიყვანოთ იქ სხვადასხვა პროფესიის წარმატებული ადამიანები, რათა ბავშვებს წარმოდგენა ჰქონდეთ სხვადასხვა სფეროზე. ეს საჭიროებების სწორად განსაზღვრაა იმისთვის, რომ ენერგია, რესურსი და დრო მიზნობრივად დაიხარჯოს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მთელი აქცენტი მასწავლებლების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს; ძალიან დიდი დრო უნდა დაეთმოს მასწავლებლებში მრავალფეროვანი აზროვნების ხელშეწყობას ახალი და საინტერესო მეთოდების შემუშავებისთვის. უნდა გამახვილდეს ყურადღება ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე. ჩემი წარმოდგენით, მასწავლებლის მთავარი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ბავშვის, როგორც პიროვნების სრულფასოვან ჩამოყალიბებას; ყველაფერი, რასაც ის ბავშვს სკოლაში ასწავლის, სამყაროს აღქმას და ამ სამყაროში მის სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბებას უკავშირდება.

მაგალითად, მე მჯერა, რომ თუ ბუნების მასწავლებელი სწორად აუხსნის ბავშვს ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობას, ის არასოდეს დაანაგვიანებს ბუნებას, რადგან ეცოდინება მისი ქმედების ყველა მოსალოდნელი შედეგი – ეს არის ცოდნა. არავისთვის არ არის ახალი, რომ გიყვარს ის, რაც კარგად იცი და კარგად იცი ის, რაც კარგი მეთოდით, საფუძვლიანად გასწავლეს.

არის სიტყვები, რომლებიც აღარ გამოდგება, თუმცა არც არასოდეს ჰქონია შედეგი

ჩემმა გამოცდილებამ მიმახვედრა, რომ მთავარია არა ის, თუ რა წერია წიგნში, არამედ ის, თუ როგორ მიაწოდო ბავშვს ეს ყველაფერი ისე, რომ დაინტერესო, გააოცო, საკუთარი თვალით აჩვენო და ყოველდღიურობაში აგრძნობინო. არის ვალდებულებები, რომლებიც მეც მეზარება, თუმცა მაინც ვაკეთებ, იმიტომ რომ გააზრებული მაქვს მისი საჭიროება; რატომ გვიკვირს რომ ბავშვი ზარმაცობს – მან არ იცის რაში სჭირდება ეს ყველაფერი, ახალგამოჩეკილი ბარტყივითაა და თუნდაც ავუხსნათ განათლების მნიშვნელობა, ვერ გაიგებს, მას ეს არ აინტერესებს. საჭიროა, რომ სწავლა მის ცხოვრებაში თამაშის მსგავს, სასიამოვნო პროცესად ვაქციოთ, რომელიც ბუნებრივად, დისკომფორტის გარეშე მისი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი იქნება. ისევე, როგორც თამაშის დროს არ უჩნდება კითხვა, რატომ თამაშობს, სწავლაც ბუნებრივ, ორგანულ მოვლენად უნდა ვუქციოთ და არა რაღაც ბუნდოვანი დანიშნულების მქონე უსიამოვნო პროცესად. „იმეცადინე!“ და „ნუ ზარმაცობ!“ – არის სიტყვები, რომლებიც აღარ გამოდგება, თუმცა არც არასოდეს ჰქონია შედეგი. მასწავლებელმა რომ საკუთარ თავს მოუწოდოს იმ სიხშირით, რა სიხშირითაც მოსწავლეებს მოუწოდებს, შედეგი ნამდვილად ბევრად უკეთესი იქნება.

ჩემი აზრით, არ არსებობს ცუდი და კარგი საგნები, როგორც ამას ბავშვები უდგებიან, არსებობენ ცუდი და კარგი სპეციალისტები.

ცუდია, როდესაც ბავშვი გრძნობს მასწავლებლის ზერელე დამოკიდებულებას. წარმოუდგენელია მოსწავლე დაინტერესო იმით, რაც შენ თვითონაც არ გაინტერესებს და არ იცი, მით უმეტეს, რომ ბავშვები ყოველთვის მძაფრად გრძნობენ ამ ყველაფერს და მათი მოქცევაც გაკვეთილზე აქედან გამომდინარეობს.

შენ შეგიძლია გააოცო იმით, რასაც ასწავლი...

დღემდე კარგად არ ვიცი სასკოლო ჟურნალის შევსება, რადგან მთელ აქცენტს იმაზე ვაკეთებდი, რომ შენს წინაშე არიან პატარა ადამიანები, რომლებისთვისაც ეს სამყარო ჯერ კიდევ უცხოა და მათი ოჯახებით შემოიფარგლება; შენ შეგიძლია გააოცო იმით, რასაც ასწავლი ამ სამყაროს შესახებ, დაანახო მისი უსაზღვრობა და მრავალფეროვნება. ჩემი აზრით, ზოგადი განათლება ეს არის და არა სწავლების დამკვიდრებული ფორმა, რომლის შედეგადაც ვიღებთ სკოლადამთავრებულ, სრულიად დაბნეულ მოზარდს, რომელიც ინტუიციით გრძნობს, რომ რაღაც სერიოზული იწყება, თუმცა ამისთვის მზად არ არის და ითრგუნება. მან არ იცის, რა უნდა იმიტომ, რომ არაფრის შესახებ არ აქვს კარგი, საბაზისო ცოდნა და გამოკვეთილი ინტერესები. მასწავლებლის მიერ არასწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესის დამსახურებაა ის, რომ მოსწავლე სხაპასხუპით გეტყვის რაიმე ფორმულას, თუმცა ვერ გეტყვის სად მდებარეობს საქართველო.



პროფესია პედაგოგი

როგორი უნდა იყოს მასწავლებელი – პროფესიული განვითარება მანამდე შეიძლება, სანამ საერთოდ არსებობს ადამიანი

კარგი მასწავლებელი წარმომიდგენია, როგორც თავისუფალი და გაბედული ადამიანი, რომელსაც არ ეშინია შეცდომების აღიარების, უსაზღვროდ აქტიური და მოქნილია განსხვავებულ სიტუაციებში, ბევრს ფიქრობს თავის პროფესიაზე და არის მრავალფეროვანი, არ ეშინია თქვას არ ვიცი, როცა რაღაც არ იცის, არ ეშინია სიახლეების, როდესაც საქმე ბავშვის განვითარებას ეხება, რადგან მან იცის, რომ სკოლაში პრიორიტეტი ბავშვია და მას ვერ განავითარებს ადამიანი, რომელიც შეზღუდულია სხვადასხვა შიშებით. საერთოდ, საქართველოში ძალიან ცოტათი ვკმაყოფილდებით და ჩვენს წარმოდგენაში სწავლა დიპლომის აღების შემდეგ მთავრდება, მაშინ, როცა პროფესიული განვითარება მანამდე შეიძლება, სანამ საერთოდ არსებობს ადამიანი.

მახსენდება ერთკვირიანი ტრენინგი მცხეთაში, 2012 წელს, რომელიც ეხებოდა სამოქალაქო აქტივობის დანერგვას მოსწავლეებში. 23-კაციან ჯგუფს, რომელიც მცხეთა-მთიანეთის სოფლების მასწავლებლებისგან შედგებოდა, ყოველდღე აკლდებოდა ადამიანები... როდესაც ტრენერმა დაფაზე დაწერა სიტყვა „განათლება“ და გვთხოვა მოკლე დროში ჩამოგვეთვალა ყველაფერი, რაც ამ სიტყვასთან ასოცირდება, ვიგრძენი, რომ რამდენიმე მასწავლებელმა ეს შეურაცხყოფად მიიღო. მათი თქმით, როდესაც ორმოცდაათი წელი სკოლაში გაქვს გატარებული და დამსახურებულ პედაგოგად ითვლები, მსგავსი კურსები საჭირო არ არის. ეს არასწორი და არაპროგრესული დამოკიდებულებაა.

არ ვფიქრობ, რომ კარგი მასწავლებელი ვიყავი, ორ წელში ამას ვერც შევძლებდი, უბრალოდ, ზუსტად მივხვდი, რას ნიშნავს იყო კარგი მასწავლებელი.

აქტივობები

სკოლაში განხორციელებულ შემეცნებით აქტივობებს შორის იყო: „ვეფხისტყაოსნის“, რევაზ ინანიშვილის და სხვა ავტორების მოთხრობების ილუსტრირება და გამოფენა, კლასიკური მუსიკის საღამო თბილისელი პატარა მუსიკოსების მონაწილეობით, ბიბლიოთეკის გამდიდრების აქცია, ჩემი მეგობრების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც ეხებოდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: ინტერნეტის მნიშვნელობა, სოფლისა და ქალაქის ცხოვრება, მსოფლიოს ღირსშესანიშნაობები, თეატრი და ა.შ.

* * *

კადრს მიღმა

შუქიას ჩანაწერებიდან

„მეგობრებო, დამეხმარეთ, საახალწლო ზეიმისთვის მჭირდება ფორმები, ცხოველების, ფერიების ან რისიც გაქვთ, ერთი მაინც გექნებათ. ჩვენს პატარა ხევსურებს უნდა მოვუწყო ძალიან, ძალიან მაგარი ზეიმი“.

2012 წლის 29 ნოემბერი

„გუშინ რუსუდანი და მე ვოცნებობდით თოვლზე, მერე ამინდის პროგნოზი ვნახეთ და ბარისახოში დილის 4 საათზე თოვლი ეწერა, გავაღეთ ფანჯარა, უცნაურად თბილოდა, ცაზე ვარსკვლავები აღარ იყო და ეშმაკურად ჩავიცინეთ. დილით რუსუდანმა ყვირილით გამომაღვიძა, გავიხედეთ და თეთრი იყო მთები. არაფერი არ არის ახლა ჩემთვის ამაზე ლამაზი“.

2013 წლის 8 დეკემბერი

სასკოლო აქტივობა

π რიცხვის საერთაშორისო დღე – 14 მარტი

„π დღე“ მთელ მსოფლიოში 14 მარტს აღინიშნება. წელს ეს დღე საქართველოშიც აღნიშნეს. თბილისის №145 საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ჩაერთვნენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტში, რომლის სახელწოდებაა: „14 მარტი – π რიცხვის საერთაშორისო დღე“

პროექტი შედის რუმინეთის განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო საქმიანობის 2013-2014 სასწავლო წლის კალენდარში. მისი მთავარი ინიციატორები და კოორდინატორები არიან: პროფესორი **ჯულიანა ტრასკა**, საშუალო სკოლა „სმიტი“, პროფესორი **ლუმინიტა ფლორიცელი**, პროფესორი **მაია პორომბრიცა** (საშუალო სკოლა „Manole“ Causeni – მოლდოვა); საორგანიზაციო კომიტეტი: პროფესორი **ფელიცია მენ**, გენერალური ინსპექტორი, პროფესორი **კატალინ მინესცუ**, პროფესორი **გაბრიელა იონიან**, პროფესორი **ჯულიანა ბეადინგი** „Middle School“, ჟურნალი „Queen Elizabeth“. საშუალო სკოლა „სმიტს“ პარტნიორული ხელშეკრულებები აქვს ამ პროექტში მონაწილე რამდენიმე ქვეყანასთან.

პროექტში ჩართული არიან მათემატიკის მასწავლებლები: **კრინა ბერცოვიჩი, მონენციუ რ., მადა მარია, ბრისკან გაბრიელა, საბო ხ., მირელა ტუდორ** (რუმინეთი, ბეიუს), **ჯულიანა ბეადინგ, სიმონა ოპრეა, ლავინია ბალან** (რუმინეთი, ბუსტენი), **ბურტოიუ დანიელა** (რუმინეთი, პიტესტი), **ვოინეა მარიანა** (რუმინეთი, ბუქარესტი), **ქრისტინა პოპესკუ** (კანადა, კალგარი), **პორომბიცა მაია, ანესტე ლიდია, ანტონ გალინა** (მოლდოვა), **გაიანე არაპეტიანი** (სომხეთი), **ელენე ახალაია, მანანა გადელია** (საქართველო, თბილისი), **ლაიმა მიკუცკენე** (ლიტვა), **ლარისა ტარასიუკი, ეკატერინა კუხარჩუკი** (ბელორუსია), **მარია კრუპა** (პოლონეთი), **ერიკა ბაუნე** (ლატვია), **ბექირ დისლი** (თურქეთი).

პროექტის თითოეული მონაწილე მშობლიურ ენაზე საუბრობდა, მაგრამ მათემატიკურმა ენამ საშუალება მოგვცა, რომ გვესმოდეს ერთმანეთის. პროექტი ხელს უწყობს შემოქმედებას და აჩვენებს მოსწავლეებს მათემატიკის სილამაზეს, მის უნივერსალურ ხასიათს. პროექტის მიზანია, გააძლიეროს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. ამ პროექტში ჩართულ სკოლებს შორის ძლიერდება ურთიერთობები, ასევე მონაწილე ქვეყნებთან, რადგან პროექტში ჩართული არიან საზოგადოების წევრები, რითიც მდიდრდება მათი საგანმანათლებლო გამოცდილება.

თბილისის №145 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელებმა შეაგროვეს ინფორმაცია, გამართეს საინტერესო პრეზენტაციები, გადაიღეს სურათები, დაწერეს სიმღერა.

14 მარტს კი, სკოლაში ნამდვილი დღესასწაული გაიმართა. დილით მოსწავლეებს ყველგან ხვდებოდათ π რიცხვის გამოსახულება, სართულებზე მოწყობილი იყო ფოტოგამოფენა. მესამე გაკვეთილზე ყველა კლასში, XI[1] კლასის მოსწავლეთა მიერ, ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე „π რიცხვის დღის ისტორია“. 13 საათსა და 59 წუთზე სკოლის ეზოში ჩატარდა აქცია „π რიცხვის დღე“, ხოლო დასასრულს, 14 საათსა და 30 წუთზე სკოლის „მომავლის ოთახში“ XI[1] კლასის მოსწავლეებმა მასწავლებლებისთვის პრეზენტაცია გამართეს, ამ დღისთვის დაწერილი სიმღერა შეასრულეს და, როგორც შეეფერება დაბადების დღეს, იყო ტორტიც რიცხვის გამოსახულებით.

პროექტის ხელმძღვანელმა **ელენე ახალაიამ** პროექტის აქტიურ მონაწილეებს სპეციალურად ამ დღისადმი შექმნილი სიგელები გადასცა და გააცნო ყველას, თუ როგორ აღინიშნა ეს დღე ამ პროექტის მონაწილე სხვა ქვეყნებში.

სკოლას დიდხანს ემახსოვრება „π რიცხვის საერთაშორისო დღე“.

თინათინ ოქროცვარიძე.
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი



სასკოლო აქტივობა

ეპიზოდები ისტორიიდან

ძალისის საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა მორიგ სასკოლო ღონისძიებაზე სამშობლოს წინაშე ქართველი ქალის ისტორიული როლი, მისი ღვაწლი და დამსახურება წარმოაჩინეს. ბუნებრივია, რომ უპირველესი მათ შორის მარიამ ღვთისმშობელია და VII, IX და X კლასების მოსწავლეებმა, საგალობლის ფონზე – „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო...“, ყოვლადწმინდას ცხოვრების შესახებ ისაუბრეს, რასაც ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები მოჰყვა. სწორედ მისი შეწევნით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს ნათელი.

ღონისძიებაზე გაცოცხლდა XVII-XVIII საუკუნეების საქართველო, როცა მაჰმადიანური სამყაროსა და ძმათა შორის მტრობისაგან დასუსტებული ქვეყანა ქეთევან დედოფლის გმირობამ შესძრა, მომავლისადმი რწმენით აღავსო. შთამბეჭდავი იყო დედოფლის წამების ფრაგმენტების წარმოჩენა და იმის ხაზგასმა, რომ ქართველთათვის სარწმუნოება და სამშობლო იდენტური ცნებებია; ამას მოჰყვა ეპიზოდები თამარის ეპოქიდან, რომელმაც, თითქმის 900 წლის წინ დაანახა მსოფლიოს, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“. ყველა ეპოქაში, როცა ქართველი მამაკაცები მტერს ებრძოდნენ, ქართველი ქალები ლოცვით უმაგრებდნენ მათ ზურგს. ხშირად, ღვთის მსახურებას შვილმკვდარი დედაც აღასრულებდა, რომელიც კვლავ მზად იყო დედოზარის შემოსაკრავად.

ღონისძიების მონაწილეებმა განსაკუთრებული პატივისცემითა და თანაგრძნობით სავსე სიტყვებით მიმართეს აფხაზეთის ომში დაღუპული ძალისელი ახალგაზრდის, **კახა წინამძღვრიშვილის** დედას, ქალბატონ მარიამს, რომელსაც ნუგეშად მამა გაბრიელის შესახებ მოგონებების წიგნი გადასცეს.

დასასრულ, ძალისელმა ახალგაზრდებმა: **ნინო ვალიშვილმა, საბა გათენაშვილმა, გვანცა პავლიაშვილმა, გია ვალიშვილმა, მარიამ ჩიბუხაშვილმა, როლანდ გაგოევმა** და სხვებმა ქალთა დღე მიულოცეს სკოლის დირექტორს **ნინო გათენაშვილს** და სკოლის ყველა პედაგოგ ქალბატონს.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს XI კლასის მოსწავლეებმა, ძალისის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მგალობლებმა – **მარიამ ვალიშვილმა** და **თეა სალბიშვილმა.**

მერი ცუღოშვილი
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ღონისძიების ორგანიზატორი

„უკვდავების ბინადარი“

ხალისიანი საბრძოლო სიმღერების უკვდავ მომღერალს, ჩვენი პლანეტის ელვარე პოეტურ სახელთა შორის გამორჩეულ გალაკტიონ ტაბიძეს, 18 მარტს გარდაცვალებიდან 55 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი აღინიშნა პოეტის სახლ-მუზეუმში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, რომელშიც №190 საჯარო სკოლის „გალაკტიონოლოგთა კლუბის“ წევრებიც მონაწილეობდნენ.

ლია სტურუას, რევაზ მიშველაძის, ნოდარ ტაბიძის, ვახტანგ ჯავახაძის, სოსო ჭუმბურიძის, ხუტა პაჭკორიას, გიზო ზარნაძის წინაშე „ნორჩი გალაკტიონოლოგები“ და მათი ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ქეთევან ჭელიძე** ლამაზი კომპოზიციით წარდგნენ. ამგვარი შეხვედრები უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. 190-ე საჯარო სკოლასა თუ პოეტის სახლ-მუზეუმში მისი დირექტორის, ქალბატონ **მაია გიორგაძის** და **ნატო გაბისონიას** მხარდაჭერით, მოსწავლეებს გაუჩნდათ და გაუღრმავდათ გალაკტიონის პოეზიის, მის სამყაროსთან ზიარების სურვილი.

„ეს პირველი შეხვედრა როდია, – აღნიშნავს მეცხრეკლასელი **ნიკა გიგაური** – *ჩვენ სიამოვნებით გადავეშვებით იმ მორევში, რასაც პოეზია ჰქვია“; „ვკითხულობთ რა გალაკტიონს, ვგრძნობთ მისი ლექსის მუსიკალურობას, მეც ავყვები ამ რიტმს და დადებითი ემოციით ვიმუხტები“* – წერს მეცხრეკლასელი **გიორგი ყანჩელაშვილი** შთაბეჭდილებების წიგნში. არც **გიორგი გაბრიჩიძე** რჩება გულგრილი – *„დიდხანს ვფიქრობდი სივრცეების ბინადარ პოეტზე, მშვენიერებას რომ მაზიარა,“* – აცხადებს გიორგი მასწავლებელთან საუბარში; რაც შეეხება გოგონებს – **ანა** და **თეონა მაისურაძეებს, ნინო თაქთაქიშვილს, მარიამ თეთრაძეს** და **თამარ დოკვაძეს**, ისინი უკვე გალაკტიონის სტრიქონებს ხვეწენ, ეთაყვანებიან

და ეფერებიან თითოეულ სიტყვას. მის პოეზიას დავიწყება არ უწერია. აკი გალაკტიონი წინასწარმეტყველურად აცხადებდა: *„მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი, შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს, შენ უკვდავების ხარ ბინადარი“.*

ქეთევან ჭელიძე
№190 საჯარო სკოლის „გალაკტიონოლოგთა კლუბის“ ხელმძღვანელი

წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-V ტომი, – 11 ლარი
❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I-VII ტომი – 11 ლარი
❖ ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარპე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკობ ხუცესი
13. იოანე საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჩულე
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით ალმაშენებელი

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

„დიოგენე“ გამოგვიგზავნეთ

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK